

მიმართულებითი ბრუნვის დაბოლოება

1. მიმართულებით ბრუნვაში სადავოა — დონი იწერებოდეს ბოლოს თუ თანი. მაგ.: ამხანაგად თუ ამხანაგათ, მიწად თუ მიწათ, დიდად თუ დიდათ და სხვ.

2. სალიტერატურო ქართულში უძველესი დროიდან მოყოლებული მიმართულებითი ბრუნვის დაბოლოება ხმოვანფუძიან სახელებში -დ იყო და არის დღესაც, ხოლო თანხმოვანფუძიანებში -ად. დ-ს მოცილებლად თ ჩნდება სპორადულად გვიანდელ (XVII—XVIII სს.) ძეგლებში.

3. ცოცხალ კილოებში მიმართულებითის დაბოლოებად დღეს ბევრგან -თ და -ათ არის და კილოების გავლენით იგი სალიტერატურო ენაშიც იჩენს ხოლმე თავს.

4. დ-ს თ-დ ქცევა, რასაც ადგილი აქვს მიმართულებითი ბრუნვის დაბოლოებაში, განცალკევებით მღვრიე მოვლენა არ არის. ამგვარივე ხასიათისაა ბ-ს დაყრუება და ფ-დ ქცევა -ებ და -ობ სუფიქსებიან ზმნებში (განსაკუთრებით დასავლურ კილოებში): ვაკეთფფ, ვამზოფფ და სხვ.

5. ბოლოკიდური მქდერის დაყრუების ფაქტიდან არ გამომდინარეობს ის დასკვნა, რომ აუცილებლად ყრუ უნდა ვწეროთ. ამის საუკეთესო მაგალითია ზმნების -ფფ და -ოფ სუფიქსებიანი ფორმები, რომლებიც დიალექტურ მოვლენად არის მიჩნეული. აქ ზანის დატოვებას გვიკარნახებს ისეთი ფორმების არსებობა, სადაც ბ უცვლელად რჩება: აკეთებბ —აკეთებდა, კეთება, ვაკეთებბული; ამზობბ —ამზობა, ნამზობი და სხვ.

6. ზემოხსენებული -ფფ, -ოფ სუფიქსების მსგავსად დიალექტურ მოვლენას წარმოადგენს მიმართულებითის თ-ც, რომლის პირვანდელი სახე დ მკვიდრად და ცულები მიმართულებითისაგან ნაწარმოებ ფორმებში, როგორიცაა:

ა. წილათა სახელები: მესამედ —მესამედი, მენხუთედ —მენხუთედი, მეთათედ —მეთათედი, მესახედ —მესახედი და სხვ.

ბ. სახელები, რომელთა ფუძედ მიმართულებითი ბრუნვის ფორმებია გამოყენებული: ტანად —ტანადი —ტანადობა, თვალად —თვალადი —თვალადობა, პირად —პირადი —პირადობა და ახალი ნაწარმოები: ფულად —ფულადი, ქედად —ქედადი, ზრადად —ზრადადი და სხვა.

ამის მიხედვით შემდეგი დასკვნები უნდა იქნეს გაკეთებული:

1. მიმართულებითი ბრუნვის ნიშნად დარჩეს -დ, -ად და არა -თ, -ათ.

მაშასადამე, სახელები მიმართულებით ბრუნვაში (კითხვებზე: რად? როგორ? რამდენად? სად?) უნდა იწერებოდეს მხოლოდ -დ (ხმოვანფუძიან სახელებთან) და -ად (თანხმოვანფუძიან სახელებთან) დაბოლოებით: მაგ.: კაცად (და არა კაცათ), ამხანაგად (და არა ამხანაგათ), ხედ, ყრუად... დიდად, კარგად, სამად, ხუთად, ხოფლად და ქალაქად და სხვა.

2. ერთი ჯგუფი სიტყვებისა, რომლებიც ზმნისართებია და მოქმედებითი ბრუნვისაგან არიან მიღებული, ან რომლებიც ფუძეში თ-ს შეიცავენ, დაიწერება თ-თი (და არა დ-თი); ასეთებია: გარეთ, ზემოთ, ქვემოთ, უნებლიეთ, წინათ, უკეთ, ალბათ (ისევე, როგორც ზევით, ქვევით, შიგნით და სხვა.).